



ოქმი: ო37.37210465

თარიღი: 15/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თ. ტულუშის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი**

ქ. ოზურგეთი 2021 წ. 10.02.

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ესწრებოდნენ: წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც განხორციელდება ონლაინ რეჟიმში, განაცხადა, რომ თ. ტულუში აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში.

საკრებულოს წევრმა თ. ტულუშმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ემუხლის შესაბამისად ვრცლად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში - 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე - როგორც საკრებულოს, საკრებულოს ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, სოფელ ნატანებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, სოციალურად შეჭვივრებული მოქალაქეებისათვის გაწეულ დახმარებებზე, არსებულ პრობლემებზე-შიდა გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტდარბაზის რეაბილიტაცია, სასაფლაოების შემოღობვა და მისასვლელი გზების მოწყობა და სხვა. უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღნიშნა, რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება ამომრჩევლებთან უფრო აქტიური

მუშაობა.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ თ. ტულუში მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება მოსახლეობის მიერ დასმულ ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმელიძე, აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ. ღურჯუმელიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

